

დამტკიცებულია

წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, ოქმი  
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, კანცლერი

№ 10 26.12.2017\_წ.

ლ. ხვედელიძე

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მარეგულირებელი დებულება

ნდ №2-030101-12

ბათუმი

2017

შინაარსი

პრეამბულა.....	3
მოქმედი შემოკლებები და განმარტებები.....	4
მუხლი 1 დებულების სამართლებრივი საფუძვლები. რეგულირების სფერო.....	5
მუხლი 2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევა, დაგეგმვა.....	5
მუხლი 3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, მოდიფიცირება, დამტკიცება.....	6
მუხლი 4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის ადაპტირება.....	7
მუხლი 5 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.....	7
მუხლი 6 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი.....	8
მუხლი 7 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, ცვლილებების შეტანა.....	8
მუხლი 8 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუქმება.....	9
მუხლი 9 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფა.....	9
მუხლი 10 პროგრამის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.....	10
მუხლი 11 პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა.....	10
მუხლი 12 სწავლების ენა.....	11
მუხლი 13 პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება.....	11
მუხლი 14 პროფესიულ სტუდენტთა მობილობა.....	13
მუხლი 15 მიღებული განათლების (პროფესიული განათლების კრედიტების) აღიარება.....	14
მუხლი 16 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა.....	15
მუხლი 17 არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება.....	16
მუხლი 18 კვალიფიკაციის მინიჭება და პროფესიული დიპლომი.....	18
მუხლი 19 პროფესიული სტუდენტის შეფასება.....	19
მუხლი 20 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტებით გაანგარიშების წესი.....	19
მუხლი 21 პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში.....	19
მუხლი 22 პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება მოდულური პროგრამების ფარგლებში.....	21
მუხლი 23 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური სასწავლო განრიგი/გეგმა.....	23
მუხლი 24 საწარმო პრაქტიკის განხორციელების წესი.....	24
მუხლი 25 პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა.....	26
მუხლი 26 სასწავლო მიზნებისთვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შენახვა, განკარგვა, გამოყენება და ნარჩენების უტილიზაცია.....	27
მუხლი 27 დასკვნითი დებულებები.....	28

### პრეამბულა

1. წინამდებარე დებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში და განხორციელებაში ჩართული ყველა სტრუქტურული ერთეულის ნორმატიული დოკუმენტია;
2. წინამდებარე დებულება:
  - შემუშავებულია ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის მიერ;
  - დამტკიცებულია ბნსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ;
  - ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.
3. დებულებაში ცვლილებები მუშავდება და შედის საჭიროებისამებრ ან/და იმ ნორმატიული დოკუმენტების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ეს დებულება;
4. წინამდებარე დებულება ვრცელდება ბნსუ-ს შემდეგ დოკუმენტებზე:
  - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში და განხორციელებაში ჩართული პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციები;
  - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის განხორციელებაში/უზრუნველყოფაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების დებულებები.
5. წინამდებარე დებულების აღრიცხული ეგზემპლარები ინახება:
  - ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან (ორიგინალი);
  - ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში (ელ.ვერსია);
  - ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტში (ელ.ვერსია).
6. დებულების ნორმატიული საფუძველი:
  - საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ;
  - საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ;
  - პროფესიული განათლების სფეროში საქართველოს მოქმედი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;
  - საქართველოს კანონი მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ;
  - საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები;
  - საერთაშორისო სტანდარტი ISO 9000:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემა და ლექსიკონი;
  - ნდ №2-010101 – ბნსუ-ს წესდება;
  - ნდ №2-010102 – ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი დებულება (შინაგანაწესი);
  - ნდ №2-020101-01 – „სასწავლო უნივერსიტეტში შიდა ნორმატიული დოკუმენტების დამუშავებისა და მოქმედების უზრუნველყოფის პროცედურა“;
  - ნდ №2-020101-02 – „სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობაში გამოყენებადი მოქმედი დოკუმენტების და ფორმების კლასიფიკაციისა და იდენტიფიკაციის პროცედურა“;
  - ნდ №2-020101-03 – „სასწავლო უნივერსიტეტში დოკუმენტებისა და მონაცემების მართვის პროცედურა“.

**ბნსუ-ში მოქმედი შემოკლებები და განმარტებები**

<b>ISO</b>	სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
<b>ხს</b>	ხარისხის სისტემა;
<b>ECTS</b>	კრედიტებისა ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა;
<b>ECVET</b>	პროფესიული განათლების კრედიტების სისტემა;
<b>სდ</b>	საინფორმაციო დოკუმენტი;
<b>სსს</b>	საქართველოს საზღვაო სააგენტო;
<b>ნორმატიული დოკუმენტი</b>	დოკუმენტი, რომელიც ადგენს სხვადასხვა საქმიანობის წესს, საერთო პრინციპებსა და დახასიათებას და ეხება სხვადასხვა საქმიანობის სახეებს და მათ შედეგებს;
<b>თანამდებობრივი ინსტრუქცია</b>	შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, თანამდებობაზე დანიშნული მუშაკის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს, მოვალეობებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობას;
<b>სტრუქტურული ერთეულის დებულება</b>	შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის სტატუსს, საქმიანობის სფეროს ან მიმართულებას, ამოცანებსა და ფუნქციებს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დანიშვნის წესსა და მის თანამდებობრივ ფუნქციებს;
<b>აღრიცხული ეგზემპლარი</b>	დოკუმენტი, რომელსაც გააჩნია სააღრიცხვო ნომერი აღრიცხული ეგზემპლარების სიის მიხედვით;
<b>პროფესიული სტუდენტი</b>	პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
<b>საგანმანათლებლო პროგრამა</b>	საბაკალავრო / სამაგისტრო / პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
<b>უსდ/სდ</b>	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/საგანმანათლებლო დაწესებულება;
<b>ბნსუ/ სასწავლო უნივერსიტეტი/ დაწესებულება</b>	შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“.

### **მუხლი 1. დებულების სამართლებრივი საფუძვლები. რეგულირების სფერო**

1. წინამდებარე „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მარეგულირებელი დებულება“ (შემდგომში - დებულება) შემუშავებულია განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონის, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - ბნსუ) შინაგანაწესის საფუძველზე;
2. წინამდებარე დებულება არეგულირებს ბნსუ-ში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - პროფესიული პროგრამა ან პროგრამა) შემუშავებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს;
3. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება ბნსუ-ს შინაგანაწესით და შიდასაუნივერსიტეტო აქტებით. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ბნსუ-ს მარეგულირებელ დებულებებში/წესებში გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე;
4. ბნსუ უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას, მათ შორის, ვებ-გვერდის მეშვეობით. პროფესიული სტუდენტები, პროფესიული პროგრამების განხორციელებაში ჩართული პირები ვალდებული არიან გაეცნონ ამ ინფორმაციას და შეასრულონ წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები. ამ მოთხოვნების არცოდნა არ ათავისუფლებს მათ წინამდებარე დებულებით დადგენილი მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისაგან და მათი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

### **მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევა, დაგეგმვა.**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, სასწავლო კურსების/მოდულების, შესაბამისი კრედიტების და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნისა და, უნარების გამომუშავებაზე და სრულდება პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებითა და მისი დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემით.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხორციელდება პროფესიული სტანდარტის ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.
3. პროფესიული სტანდარტი განსაზღვრავს შესაბამის პროფესიულ კვალიფიკაციას და პროფესიულ ცოდნასა და უნარებს, აგრეთვე ადგენს პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებით მოთხოვნებს;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი განსაზღვრავს შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების მოცულობას, მისაღწევ სწავლის შედეგებს, იმ მოდულების ერთობლიობას, რომელთა სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად, აგრეთვე შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების და პროგრამის განხორციელების წინაპირობებს, შესარჩევი სწავლების მეთოდებისა და შეფასების სისტემის ალტერნატიულ ჩამონათვალს;
5. ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევისას ბნსუ ითვალისწინებს მათ თავსებადობას დაწესებულების მისიასთან, ეროვნულ და რეგიონულ პრიორიტეტებს, შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნებს, დაწესებულების მიერ შემუშავებულ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს.
6. ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევის საფუძველი შეიძლება ასევე გახდეს საკანონმდებლო ცვლილებები, ახალი ტექნოლოგიების შემოტანა, სხვა შიდა და გარე ფაქტორები.
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის/შემუშავების მიზნით პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით იქმნება მუშა ჯგუფი.
8. მუშა ჯგუფის საქმიანობას უძღვება პროგრამის ხელმძღვანელი ან დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ შერჩეული პირი; მუშა ჯგუფის შემადგენლობაში შედიან პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პირები, დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

წარმომადგენელი/ები, ასევე შეიძლება შედიოდნენ პოტენციური დამსაქმებლები, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი/ები, სხვა დაინტერესებული პირები;

9. პროგრამის დაგეგმვის პირველ ეტაპზე, მუშა ჯგუფი განიხილავს დაწესებულებაში კონკრეტული პროფესიული პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობას, ანალიზებს დაწესებულების შესაძლებლობას პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, ინფრასტრუქტურის მზაობას, პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხს, მსგავსი მიმართულების პროგრამების განხორციელების გამოცდილებას და სხვა.
10. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების შესახებ სამუშაო ჯგუფის ანალიზი განიხილება დეპარტამენტის საბჭოზე და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში საბჭო წარუდგენს ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს განსახილველად და დადებითი შეფასების შემდეგ დასამტკიცებლად გადაეცემა ბნსუ-ს აკადემიურ საბჭოს.
11. გადაწყვეტილება პროგრამის შემუშავების შესახებ მიიღება თუ პროგრამა შეესაბამება საქართველოში მოქმედ და საერთაშორისო (საზღვაო სფეროს პროგრამების შემთხვევაში) სტანდარტებს, ბნსუ-ს მისიას და საგანმანათლებლო პრიორიტეტებს, ითვალისწინებს დარგში არსებულ მოთხოვნებს, უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას საქართველოს და საერთაშორისო განათლების და შრომის ბაზარზე, არსებობს შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსები, არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა;

### **მუხლი 3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, მოდიფიცირება, დამტკიცება**

1. პროგრამის შემუშავება/მოდიფიცირება შეიძლება განხორციელოს მუხლი 2, მე-8 პუნქტში მითითებულმა მუშა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობას პროფესიული დეპარტამენტის საბჭოს რეკომენდაციით განსაზღვრავს დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
2. პროგრამების შემუშავებისას გათვალისწინებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისადმი ზოგადი მოთხოვნები, კერძოდ: პროგრამა უნდა ეყრდნობოდეს შესაბამის პროფესიულ სტანდარტს და წარმოადგენს პროფესიული კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი კომპონენტების ერთობლიობას. პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს ბნსუ-ს მისიას, იყოს შედგენილი პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად და ჰქონდეს თანმიმდევრული სტრუქტურა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზნები, მოცულობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები.
3. მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში პროგრამა ეყრდნობა შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს, ამიტომ პროგრამით განსაზღვრული მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზნები, მოცულობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა/ები, სწავლების მეთოდები და შეფასების მიმართულებები შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტთან.
4. პროგრამის მოდიფიცირების საფუძველია საქართველოს კანონმდებლობაში შესული ცვლილებები, პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულების რეკომენდაცია, ბნსუ-ს და დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროფესიული პროგრამის განმახორციელებლების, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების, დარგის სპეციალისტების მოსაზრებები, რეკომენდაციები და სხვ.
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება ხდება ბნსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ.
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად.

#### მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის ადაპტირება

1. საგანმანათლებლო პროგრამების ადაპტირების პირველი ეტაპი იწყება ჩარჩო დოკუმენტის მოდიფიცირებით, რომლის დროსაც ჩარჩო დოკუმენტი იქცევა საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული პროგრამის ძირითად დოკუმენტად, პროფესიულ პროგრამად.
2. თითოეულ პროგრამას უკეთდება თავფურცელი სადაც მოცემულია შემდეგი სახის ინფორმაცია:
  - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების გრიფი;
  - საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება (დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით);
  - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება;
  - საკონტაქტო ინფორმაცია;
  - პროგრამის ხელმძღვანელი;
  - ქალაქის დასახელება (საგანმანათლებლო დაწესებულების მდებარეობის მიხედვით) და წელი.
3. დაწესებულების მიერ ადაპტირებულ პროგრამაში ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულების ჩამონათვალი უცვლელი სახით არის წარმოდგენილი, რაც შეეხება არჩევით მოდულებს, დაწესებულება უფლებამოსილია შეიტანოს ისინი პროგრამაში აღნიშნული პროგრამისთვის შექმნილი არჩევითი მოდულებიდან, ან სხვა ჩარჩო დოკუმენტებში განსაზღვრული მოდულებიდან ან საერთოს არ შეიტანოს ისინი პროგრამაში, თუ არჩევითი მოდულების პროგრამაში შეტანის აუცილებლობა არ არის განსაზღვრული ჩარჩო დოკუმენტით.
4. დაწესებულებამ უნდა დაასაბუთოს სხვა ჩარჩო დოკუმენტებიდან არჩევითი მოდულების შემოტანის მიზანშეწონილობა.
5. არჩევითი მოდულების შერჩევისას დაწესებულება ითვალისწინებს არჩევითი მოდულის დაშვების წინაპირობებს, და ასევე იმ გარემოებას, რომ პროგრამაში არჩევითი მოდულების ბლოკის შეტანის შემთხვევაში, მათზე გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამავე პროფესიული პროგრამის მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის 20%-ს.

#### მუხლი 5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება

1. ბნსუ-ში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის მიერ.
2. პროგრამის ხელმძღვანელად ინიშნება პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომლის კომპეტენცია შეიძლება დასტურდებოდეს შესაბამის სფეროში პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური განათლებით/მომზადებით და სხვ.
3. პროგრამას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჰყავდეს რამდენიმე ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელი), რომლებიც აკმაყოფილებენ ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს.
4. პროგრამის ხელმძღვანელი კურირებს პროგრამის განმახორციელებლების საქმიანობას, კოორდინაციას უწევს პროგრამის შედგენას, მასში ცვლილებების შეტანას, სასწავლო გეგმის შედგენას, ახდენს პროგრამის სისტემატურ ანალიზს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, დახმარებას და კონსულტაციას უწევს პროფესიულ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს; პროგრამის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია ბნსუ-ს აკადემიური საბჭოს, პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის და დეპარტამენტის საბჭოს წინაშე.
5. პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რომლის შერჩევა ხდება კანონმდებლობის მოთხოვნების და ბნსუ-ს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. პროგრამის პერსონალის კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და შეიძლება დასტურდებოდეს სპეციალური განათლებით, მომზადებით, პროფესიული გამოცდილებით და სხვ.

#### მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზნები, მოცულობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა/ები, სწავლების მეთოდები და შეფასების მიმართულებები.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის (ECVET) შესაბამისად.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აერთიანებს პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო სასწავლო კურსებს/მოდულებს და სასწავლო გეგმას, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით და ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის შესაძლო კვირეულ დატვირთვას.
4. არსებობის შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი კომპონენტები ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტის თვითგანვითარებას/საზოგადოებაში ინტეგრაციას.
5. მოდულში/სილაბუსში მითითებული სასწავლო რესურსი მოდულით/სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგების შესაბამისია.

### მუხლი 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, ცვლილებების შეტანა

1. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ პროგრამებში ცვლილებების შეტანის საფუძველი შეიძლება გახდეს პროფესიულ სტუდენტთა, პროგრამის განმახორციელებლების, დაწესებულების პერსონალის, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული პირების გამოკითხვის შედეგები; საკანონმდებლო ცვლილებები; შიდა და გარე მონიტორინგის შედეგები; სხვა შიდა და გარე ფაქტორები.
2. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ პროგრამებში ცვლილებების შეტანის ინიცირება შეუძლია როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირს.
3. ცვლილებების ინიცირებით დაინტერესებული პირი მიმართავს პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსს ან დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
4. დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შესატანი ცვლილებების განხილვა ხდება პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს მიერ, ცვლილებების პროექტი ვიზირებისთვის წარედგინება ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და დადებითი პასუხის შემთხვევაში გადაეცემა აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.
5. საგნობრივი პროგრამების შემთხვევაში, დეპარტამენტის საბჭოს მიერ განხილვას არ საჭიროებს შემდეგი:
  - კურიკულუმში ტექნიკური ხარვეზების/უზუსტობების გასწორება ან არსებული ინფორმაციის დაზუსტება/განახლება, რომელიც არ იწვევს ინფორმაციის არსის შეცვლას;
  - ადამიანური/ მატერიალური რესურსის შეცვლა, თუ ცვლილება რელევანტურია და შესაბამისი რესურსის შეცვლა არ აღემატება 10%-ს;
  - პროგრამის კომპონენტ(ებ)ის სილაბუს(ებ)ში ცვლილებები, რომლებიც არ იწვევენ პროგრამის კომპონენტის მიზნებისა და შედეგების შეცვლას (მაგ., ტექნიკური ხარვეზების/უზუსტობების გასწორება, საკონტაქტო საათების განაწილების, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობის, შესასწავლი საკითხების, ლიტერატურის განახლება, შეფასების კომპონენტების/მეთოდების/კრიტერიუმების, განმახორციელებლის, მატერიალური რესურსის რელევანტური შეცვლა და სხვ.).
6. ამ მუხლის მე-5 პუნქტი მითითებულ შემთხვევებში ცვლილებებს შეისწავლის დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. იმ შემთხვევაში, თუ ცვლილებებთან დაკავშირებით დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და პროგრამის ხელმძღვანელს აქვთ განსხვავებული მოსაზრებები, საკითხს განიხილავს დეპარტამენტის საბჭო, რომლის გადაწყვეტილება არის საბოლოო.



7. თუ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროგრამებში ცვლილებების ინიცირება ეხება ისეთ საკითხებს, რომელიც არ წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის უფლებამოსილებას (მაგალითად, ჩარჩო დოკუმენტის/მოდულების, პროფესიული კვალიფიკაციის სახელწოდება, პროფესიული კვალიფიკაციის დონე, სწავლის შედეგები, მოცულობა, სტრუქტურის ცვლილება, რომელიც იწვევს მოდულთა რაოდენობის ცვლილებას, ცვლილებები მოდულის ზოგად და სტანდარტულ ჩანაწერებში და სხვა), დაწესებულება წერილობითი მოთხოვნით მიმართავს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (შემდგომში-ცენტრი), ცენტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

#### **მუხლი 8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუქმება**

1. პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს: მისიასთან და/ან საგანმანათლებლო პრიორიტეტებთან შეუსაბამობა (მისიაში და/ან პრიორიტეტებში შესული ცვლილებების გამო); პროგრამის არარენტაბელურობა; პროფესიულ სტუდენტთა კონტინენტის არარსებობა; რამდენიმე წლის განმავლობაში პროფესიულ სტუდენტთა კონტინენტის შემცირება; საკანონმდებლო ცვლილებები და სხვ.
2. დეპარტამენტის საბჭო უფლებამოსილია განიხილოს საკითხი პროგრამის გაუქმების შესახებ და დეპარტამენტის ხელმძღვანელის წარდგინებით საბჭოს გადაწყვეტილების ოქმი გადაეცემა ბნსუ-ს აკადემიურ საბჭოს განსახილველად.

#### **მუხლი 9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფა**

1. ბნსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა წარმოადგენს საორგანიზაციო სტრუქტურის, დოკუმენტაციის (შიდა დებულებები, პროცედურების განხორციელების წესები, მეთოდური მითითებები, ინსტრუქციები), პროცესების და რესურსების ერთობლიობას, რომელიც საჭიროა ხარისხის საერთო მართვისა და კონტროლისთვის.
2. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების ციკლს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე.
3. პროგრამების განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ბნსუ-ში ხორციელდება მუდმივი შიდა მონიტორინგი, რომელიც დროსაც ხდება მონაცემების შეგროვება, შესწავლა, გაანალიზება და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი შემდეგ მიმართულებებზე ვრცელდება:
  - სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა;
  - სასწავლო და კალენდარული გეგმების განხორციელება;
  - სასწავლო მასალისა და საგანმანათლებლო რესურსების სახელმძღვანელოების უზრუნველყოფა;
  - სწავლის შედეგის მიღწევა;
  - მასწავლებლის ცოდნა/უნარები შეფასების მიმართულებების და ინსტრუმენტების შესაბამისობა სწავლების მეთოდებთან;
  - საგანმანათლებლო პროცესის მართვა და ლოჯისტიკა.
  - პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, ადმინისტრაციის და დამსაქმებელთა კმაყოფილების დონის განსაზღვრა.
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შიდა მონიტორინგს ახორციელებს ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად.
5. შიდა მონიტორინგის ყველა აქტივობა თითოეული პროგრამისთვის უნდა განხორციელდეს დადგენილი პერიოდულობით დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ ან/და ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დამტკიცებული მონიტორინგის გეგმის შესაბამისად.
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შიდა მონიტორინგის განხორციელების ძირითად მექანიზმს წარმოადგენს დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტები, პროფესიული მასწავლებლები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, ადმინისტრაცია და ა.შ) გამოკითხვა.

7. დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა ხორციელდება წინასწარ შედგენილი კითხვარების მეშვეობით.
8. პროგრამის შეფასებისთვის ასევე შეიძლება სხვადასხვა ინდიკატორების გამოყენება, რომელთა დანიშნულებაა პროგრამის შეფასება რაოდენობრივი მაჩვენებლების მეშვეობით, ასე მაგალითად:
  - პროგრამის პროფესიული სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი;
  - პროგრამაზე ჩარიცხვის დინამიკა (პროფესიული სტუდენტების რაოდენობა რამდენიმე წლის განმავლობაში);
  - პროგრამაზე ჩარიცხულთა და პროგრამის კურსდამთავრებულთა თანაფარდობა (რამდენიმე წლის განმავლობაში);
  - პროგრამაზე მობილობით გადმოსული და მობილობით გადასული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა და მათი თანაფარდობა (რამდენიმე წლის განმავლობაში);
  - პროგრამის დასაქმებული კურსდამთავრებულების საერთო რაოდენობა (წლების მიხედვით);
  - პროფესიით დასაქმებული პროგრამის კურსდამთავრებულების რაოდენობა (რამდენიმე წლის განმავლობაში);
  - დამსაქმებელთა მიერ მათთან დასაქმებული პროგრამის კურსდამთავრებულების კომპეტენციების დონის შეფასება და სხვა;

#### **მუხლი 10. პროგრამის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა**

1. პროგრამის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და საჯაროობის მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი და კატალოგის ელ.ვერსია ატვირთულია ბნსუ-ს ვებგვერდზე.
2. ბნსუ-ს ვებგვერდზე ატვირთულია ინფორმაცია პროგრამაზე ჩარიცხვის პირობების, სწავლის საფასურის, პროგრამის ადამიანური და მატერიალური რესურსების, სასწავლო პროცესის და განრიგის შესახებ, ბნსუ-ს საკონტაქტო ინფორმაცია და სხვ.
3. კატალოგი ამონაბეჭდის სახით ინახება დეპარტამენტში და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.
4. პროგრამების კატალოგის განახლება ხდება ყოველწლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.
5. ბნსუ-ში სწავლის მსურველს და პროფესიულ სტუდენტს კონსულტაციას უწევენ დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი და პერსონალი.

#### **მუხლი 11. პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა**

1. პროფესიული სტუდენტის მიღწევების გაუმჯობესებისა და შესასწავლი საკითხების უკეთ ათვისების მიზნით, ბნსუ-ში გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება.
2. პროფესიულ სტუდენტებს სწავლის დაწყებისთანავე მიეწოდება ინფორმაცია არსებული კონსულტაციებისა და დახმარების შესაძლებლობის შესახებ.
3. პროფესიული მასწავლებლების მიერ კონსულტაციები ტარდება სემესტრის განმავლობაში კონსულტაციების ცხრილით განსაზღვრულ დღეებში.
4. საკონსულტაციო საათები საათები არ მიეკუთვნება პროგრამის კომპონენტის/სილაბუს/მოდულის კრედიტს.

## მუხლი 12. სწავლების ენა

1. ბნსუ-ში სწავლების ენა არის ქართული.
2. პროგრამის მხოლოდ უცხოურ ენაზე წარმართვა დაშვებულია, თუ ეს არის გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით/შეთანხმებით ან სხვა ენაზე სწავლების საკითხი შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

## მუხლი 13. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. პროფესიული განათლების მიღების უფლება აქვს პირს, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და აკმაყოფილებს პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონით, კანონქვემდებარე აქტებით, შესაბამისი პროფესიულ სტანდარტით ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით დადგენილ და ბნსუ-ს მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.
2. კონკრეტულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები წარმოადგენილია დაწესებულების მიერ დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში.
3. საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ნორმატიული დოკუმენტების (International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, 1978/95, as amended in 2010) შესაბამისად, საზღვაო სფეროს პროგრამის შემთხვევაში, საჭიროა ჯანმრთელობის შესაბამისი მდგომარეობა, რაც აუცილებელია პროგრამის სპეციფიკური კომპონენტების შესწავლისა და დაგეგმილი სწავლის შედეგის მიღწევისთვის.
4. ჯანმრთელობის მდგომარეობა აისახება შესაბამის სამედიცინო მოწმობაში, რომელსაც დადგენილი წესით გასცემს სააგენტოს მიერ შერჩეული სამედიცინო დაწესებულება (ჩამონათვალი განთავსებულია სააგენტოს ვებგვერდზე [www.mta.gov.ge](http://www.mta.gov.ge)).
5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ცხადდება დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბრძანებით, რომელშიც განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება და საფეხური; აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები, წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი; გამოცდის/გასაუბრების ჩატარების პირობები და თარიღები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
6. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება დოკუმენტების განხილვისა და მასზე დაშვების წინაპირობებთან პირის შესაბამისობის განსაზღვრის საფუძველზე, შესაძლებელია ასევე გასაუბრების/გამოცდის ჩატარება.
7. არაქართულენოვანი პირის მიერ ქართულენოვან პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში, ქართული ენის კომპეტენციის დადგენის მიზნით, უნდა ჩატარდეს გამოცდა, ხოლო ვერ დადასტურების შემთხვევაში, პირმა უნდა გაიაროს და დადასტუროს ქართული ენის მოდულები და შემდგომ გააგრძელოს სწავლა არჩეულ პროფესიულ პროგრამაზე. გამოცდა უნდა ჩატარდეს სწავლის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 დღით ადრე.
8. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებულ მისაღებ კონტიგენტზე მეტი რაოდენობის (კონკურსის) შემთხვევაში, ტარდება გასაუბრება/გამოცდა/ტესტირება და უპიტრატესობა მიენიჭება უკეთესი შედეგის მქონე პირს.
9. პროგრამაზე მიღების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ხდება დაწესებულების ვებ - გვერდის მეშვეობით, შესაძლებელია ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით,
10. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად, აპლიკანტი ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
  - სარეგისტრაციო განცხადება (შეივსება საბუთების ჩაბარების დროს). არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში განცხადებას ავსებს მისი კანონიერი წარმომადგენელი;
  - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/ID ბარათის) დედანი და ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქე - პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის დედანი); არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში განმცხადებლის

- პირადობის მოწმობის ასლი და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს კანონიერი წარმომადგენლის სათანადო უფლებამოსილებას;
- 4 ფოტოსურათი 3x4 და ელ. ვერსია (CD/DVD დისკზე);  
სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირებმა, საქართველოს მოქალაქეებმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი);
  - ზოგადი განათლების არანაკლებ საბაზო საფეხურის დამლევის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი) ან განათლების დამადასტურებელი ის დოკუმენტი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი), რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამლევის გარეშე, და წინა საფეხურის არსებობის შემთხვევაში - პროფესიული დიპლომი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი/სრული ზოგადი განათლების დამლევის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი) ან განათლების დამადასტურებელი ის დოკუმენტი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი), რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა სრული ზოგადი განათლების მიღების გარეშე, და წინა საფეხურის (არსებობის შემთხვევაში) პროფესიული დიპლომის დედანი და ასლი;
  - სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების შემთხვევაში - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი და სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლები);
  - პირმა, რომელმაც განათლება მიიღო ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რის საფუძველზეც ხდება ჩარიცხვა პროფესიულ პროგრამაზე - უნდა წარმოადგინოს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლები);
  - საზღვაო სფეროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში - სამედიცინო შემოწმების ფორმა (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი), რომელსაც დადგენილი წესით გასცემს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ შერჩეული სამედიცინო დაწესებულება (ჩამონათვალი განთავსებულია სააგენტოს ვებგვერდზე [www.mta.gov.ge](http://www.mta.gov.ge)).
11. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავსდება ბნსუ-ს ვებგვერდზე.
  12. პირი, რომელმაც მოიპოვა ბნსუ-ში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება, ვალდებულია რეგისტრაციის ვადაში მიმართოს ბნსუ-ს, წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტები და გაიაროს რეგისტრაცია.
  13. პირი, რომელმაც ბნსუ-ს მიერ დადგენილ ვადებში არ მიმართა ბნსუ-ს, არ წარადგინა სავალდებულო დოკუმენტები და არ გაიარა რეგისტრაცია, ვერ მოხდება ერთიან ჩარიცხვის აქტში დადგენილ ვადაში ბნსუ-ის არმიმართვის გამო.
  14. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება დასტურდება პროფესიული დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბრძანებით პირის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.
  15. სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელსა და პროფესიულ სტუდენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც იდება ერთხელ და მოქმედებს სწავლების მთელი დროის განმავლობაში.
  16. ხელშეკრულების შინაარსი მოიცავს: ხელშეკრულების საგანს - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებას, რომელზეც პროფესიული სტუდენტი არის ჩარიცხული, მხარეთა უფლებებს და ვალდებულებებს, სამართლებრივი აქტების ჩამონათვალს, სწავლების საფასურს, რომელსაც უნდა ემორჩილებოდეს პროფესიული სტუდენტი სწავლის პერიოდში, ხელშეკრულების მოქმედების ვადას და მისი შეწყვეტის წესს და სხვა დებულებებს.

#### მუხლი 14. პროფესიულ სტუდენტთა მობილობა

1. პროფესიული სტუდენტის მობილობა გულისხმობს პროფესიულ სტუდენტთა თავისუფალ გადაადგილებას სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, როგორც ბნსუ-ს ფარგლებში (შიდა მობილობა), ისე სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში (გარე მობილობა), რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, პროფესიული კრედიტების ან პროფესიული კვალიფიკაციის აღიარება.
2. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, ბნსუ-ში მოქმედი წესების დაცვით და თუ არ არის გადაჭარბებული აღნიშნულ პროგრამაზე დადგენილი კვოტა (მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში).
3. მობილობის უფლება აქვს პროფესიულ სტუდენტს, რომლის სდ-ში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით, მობილობის მომენტისათვის არის სდ-ს პროფესიული სტუდენტი ან შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
4. ბნსუ-ში მობილობით ვერ ჩარიცხება პირი, რომლის მიმართ სდ-ში არსებობს ბრძანება პროფესიული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების ჩადენის გამო სტატუსის შეწყვეტის შესახებ თუ სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია ბნსუ-ს შინაგანაწესთან, ბნსუ-ში მიიჩნევა ქცევის წესების უხეშ დარღვევად და იწვევს სტატუსის შეწყვეტას.
5. ბნსუ-ში მობილობა შეიძლება გამოცდადდეს ბნსუ-ს მიერ დადგენილ ვადაში.
6. მობილობით პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების გამოცემამდე პროფესიულ სტუდენტს შეუძლია არჩეული პროგრამით სწავლის გაგრძელებაზე უარის თქმა – აღნიშნულის შესახებ ამ ვადაში მან განცხადებით უნდა მიმართოს ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელს. ამ ვადის გასვლის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს არჩეული პროგრამით.
7. მობილობის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის მიერ უკვე მიღწეული კომპეტენციების თავსებადობა მის მიერ არჩეულ პროგრამასთან, დადგინდება ბნსუ-ში მოქმედი (კრედიტების აღიარების) წესით.
8. ბნსუ უფლებამოსილია პროგრამაზე მობილობით ჩარიცხვისათვის განსაზღვროს წინაპირობები და მოითხოვოს იმ სასწავლო კურსების სილაბუსების წარდგენა, რომლებშიც პროფესიულ სტუდენტს მიღებული აქვს კრედიტი, ხოლო ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, გადაამოწმოს პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები.
9. პროფესიული სტუდენტის მიერ შესწავლილი და ბნსუ-ს პროგრამებს შორის თავსებადობის არარსებობა შეიძლება იყოს მობილობაზე უარის თქმის საფუძველი.
10. პროგრამების თავსებადობის შესახებ დასაბუთებულ დასკვნაში მითითებულია რომელი სასწავლო კურსები/მოდულები/სწავლის შედეგები და რამდენი კრედიტი არის აღიარებული.
11. პროგრამების თავსებადობის შესახებ დასკვნა ეცნობა მობილობის მსურველს.
12. დასკვნის და პროფესიული სტუდენტის თანხმობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოიცემა ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ერთიანი ბრძანება ბნსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ.
13. იმ სდ-ს მიერ, საიდანაც გადადის პროფესიული სტუდენტი, გამოიცემა ბრძანება სხვა სდ-ში ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ და პროფესიული სტუდენტის მიმართვის შემდეგ გაიცემა ბრძანებიდან ამონაწერი, საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის საფუძველზე მოხდა ჩარიცხვა და პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია.
14. პროფესიულ სტუდენტს შეუძლია მობილობის წესით მიმღებ სდ-ში სწავლის გაგრძელებაზე უარის თქმა, თუ მიმღებ სდ-ში არ არის გამოცემული ჩარიცხვის შესახებ ბრძანება.
15. ამ დროს პროფესიულ სტუდენტს შეუძლია წერილობით მიმართოს მიმღებ სდ-ს და უარი განაცხად-

დოს მიმღებ სდ-ში სწავლის გაგრძელებაზე. თუ ჩარიცხვის ბრძანება უკვე გამოცემულია, მაშინ პროფესიული სტუდენტი ითვლება მიმღები სდ-ს პროფესიულ სტუდენტად და სწავლას ვეღარ განაგრძობს ძველ სდ-ში.

16. ბნსუ უფლებამოსილია პროფესიულ სტუდენტს შესთავაზოს მობილობა თუ:

- სწავლის მიმდინარეობისას ჯგუფში დარჩა სტუდენტთა არასაკმარისი რაოდენობა და ბნსუ-ს არ ჰყავს ამავე სპეციალობაში სხვა ჯგუფი;
- გაუქმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- ბნსუ ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

#### **მუხლი 15. მიღებული განათლების (პროფესიული განათლების კრედიტების) აღიარება**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების აღიარება გულისხმობს პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების და სწავლების შედეგების შედარებას ბნსუ-ს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამასთან, რაზეც პირს სურს სწავლის გაგრძელება ან განახლება.
2. ბნსუ აღიარებს საქართველოში მოქმედი ყველა ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებულ პროფესიულ კვალიფიკაციებს, ასევე წინამდებარე წესით აღიარებს ამ დაწესებულებების მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მიღებულ კრედიტებს და შეფასებებს.
3. ბნსუ უფლებამოსილია, გასაუბრების საფუძველზე დაადგინოს ბნსუ-ს პროფესიული პროგრამით სწავლის გაგრძელების მსურველის ცოდნისა და უნარების თავსებადობა ბნსუ-ს პროფესიულ პროგრამასთან.
4. მიღებული კრედიტების აღიარება ხდება პროფესიული სტუდენტის მიერ შესწავლილი და ბნსუ-ში არჩეული პროფესიული პროგრამის კომპონენტების თავსებადობის დადგენის გზით.
5. პროგრამის კომპონენტების კრედიტების აღიარება შეიძლება მოხდეს მიღებული კრედიტების პირდაპირ აღიარების, პროფესიული სტუდენტის მიერ შესწავლილი პროფესიული პროგრამის და პროგრამის კომპონენტების სილაბუსების/მოდულის/სწავლის შედეგის შინაარსობრივი შესწავლის საფუძველზე ან/და გასაუბრების/გამოცდის საფუძველზე ბნსუ-ს პროფესიულ პროგრამასთან პროფესიული სტუდენტის კომპეტენციების თავსებადობის/შესაბამისობის დადგენის გზით.
6. ნულოვანი თავსებადობის (შესაბამისობის) შემთხვევაში - პირს უარი ეთქმება ბნსუ-ში სწავლის გაგრძელებაზე ან პირი ვალდებულია სრულად შეისწავლოს ბნსუ-ს პროფესიული პროგრამა.
7. თუ შესწავლილი სასწავლო კურსის/მოდულის/სწავლის შედეგის დასახელება და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა ბნსუ-ს პროგრამის ანალოგიური სასწავლო კურსის, მოდულის ან/და სწავლის შედეგის დასახელებას და კრედიტების რაოდენობას - მაშინ ავტომატურად ხდება პროგრამის კომპონენტის აღიარება.
8. თუ შესწავლილი სასწავლო კურსის/მოდულის კრედიტი ნაკლებია ბნსუ-ს პროფესიული პროგრამის ანალოგიური სასწავლო კურსის, მოდულის ან/და სწავლის შედეგის კრედიტზე, მაშინ:
  - 01 კრედიტის განსხვავების შემთხვევაში შესწავლილ სასწავლო კურსს შესაძლებელია მიენიჭოს ბნსუ-ს პროგრამით გათვალისწინებული მეტი კრედიტი;
  - 02 კრედიტის განსხვავების შემთხვევაში შინაარსობრივი შესწავლის საფუძველზე შესწავლილ სასწავლო კურსს შესაძლებელია მიენიჭოს ბნსუ-ს პროფესიული პროგრამით გათვალისწინებული მეტი კრედიტი;
  - 02 კრედიტზე მეტი განსხვავების შემთხვევაში არ მოხდება კრედიტების აღიარება.
9. თუ შესწავლილი სასწავლო კურსის/მოდულის დასახელება არ ემთხვევა ბნსუ-ს პროგრამის ანალოგიური სასწავლო კურსის/მოდულის დასახელებას - მაშინ შინაარსობრივი შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია დადგინდეს შესწავლილი და ბნსუ-ს პროგრამის ანალოგიური სასწავლო

კურსების/მოდულის შესაბამისობა და მოხდეს მისი აღიარება არსებული სხვაობის მიუხედავად.

10. თუ შესწავლილი სასწავლო კურსის/მოდულის კრედიტების რაოდენობა აღემატება ბნსუ-ს ანალოგიური სასწავლო კურსის/მოდულის კრედიტების რაოდენობას - მაშინ ხდება კრედიტების იმ რაოდენობის აღიარება, რამდენსაც ითვალისწინებს ბნსუ-ს პროფესიული პროგრამა.
11. პროფესიული პროგრამის შესაბამისობის დადგენისა და კრედიტების აღიარების შედეგად განისაზღვრება კრედიტების რაოდენობა, რომელიც პროფესიულ სტუდენტს უღიარდება ბნსუ-ს პროფესიული პროგრამის მიზნებისათვის.
12. სწავლის გაგრძელების რეკომენდებული პერიოდის/სემესტრის განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნება არა მხოლოდ აღიარებული და მისაღები კრედიტების რაოდენობა, არამედ ის სასწავლო კურსები/მოდულები, რომლებიც წარმოადგენს სხვა სასწავლო კურსების/მოდულების შესწავლის წინაპირობას, მაგრამ პროფესიულ სტუდენტს აღიარებული არ აქვს.
13. აღიარებული და მისაღები კრედიტების რაოდენობიდან და პროგრამის კომპონენტების წინაპირობებიდან გამომდინარე შესაძლებელია სტუდენტს დასჭირდეს დამატებითი სემესტრ(ებ)ის გავლა (სემესტრული სწავლების შემთხვევაში) და სწავლის გაგრძელება წინამდებარე დებულებით დადგენილი სწავლის გაგრძელების ვადით.
14. იმ შემთხვევაში, თუ ბნსუ-ს პროფესიულმა პროგრამამ, რომლითაც სწავლას აგრძელებს პროფესიული სტუდენტი, მისი ჩარიცხვის შემდეგ განიცადა მოდიფიცირება, ხდება სხვა სდ-ში უკვე მიღებული კრედიტებისა და ბნსუ-ს მოდიფიცირებული პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის თავსებადობის განმეორებითი შესწავლა წინამდებარე მუხლით დადგენილი წესების შესაბამისად. თავსებადობის შემთხვევაში დამატებითად აღიარებული იქნება სხვა სდ-ში პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული იმ სასწავლო კურსების /მოდულების კრედიტები, რომელთა აღიარება არ მოხდა ბნსუ-ში პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის დროს.
15. თუ სდ, რომელშიც სწავლობს/სწავლობდა პროფესიული სტუდენტი, იყენებს/იყენებდა პროფესიული განათლების კრედიტებისაგან განსხვავებულ საკრედიტო სისტემას, მაშინ პროფესიული სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს სდ-ს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, სადაც აღწერილია სდ-ში მოქმედი საკრედიტო სისტემა და მითითებულია ამ სისტემის შესაბამისობა პროფესიული განათლების კრედიტების სისტემასთან;
16. კრედიტების აღიარების აქტი ფორმდება მოტივირებული დასკვნის საფუძველზე, რომელიც ასახავს პროფესიული სტუდენტის მიერ შესწავლილი პროგრამის შესაბამისობას (თავსებადობას) ბნსუ-ს პროფესიულ პროგრამასთან.
17. დასკვნაში მიეთითება აღიარებული სასწავლო კურსების/მოდულების დასახელებები და კრედიტების რაოდენობა და რეკომენდაცია სწავლის გაგრძელების შესახებ.
18. მიღებული გადაწყვეტილება ეცნობა დაინტერესებულ პირს, რომელიც ადასტურებს ბნსუ-ში სწავლის გაგრძელების გადაწყვეტილებას ან უარს ამბობს ბნსუ-ში სწავლის გაგრძელებაზე.

**მუხლი 16 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბნსუ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებას.
2. ბნსუ-ს მიერ მოქმედი პროგრამის არსებითი შეცვლის (მოდიფიცირების) ან გაუქმების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში:
  - მოხდება ამ პროგრამის პროფესიული სტუდენტების წინასწარი ინფორმირება და მათ მიეცემათ მოქმედი (მოდიფიცირებამდე/გაუქმებამდე არსებული) პროგრამით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
  - პროგრამის მოდიფიცირების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტებისთვის იქნება შეთავაზებული მოდიფიცირებული პროგრამით სწავლის გაგრძელება;
  - პროფესიული სტუდენტებისთვის იქნება შეთავაზებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ან

შიდა მობილობით, უკვე მიღებული კრედიტების მაქსიმალური აღიარების შესაძლებლობით, ბნსუ-ში იმავე/მომიჯნავე სფეროს პროგრამით (არსებობის შემთხვევაში) სწავლის გაგრძელება (პროგრამაზე მიღების წინაპირობების გათვალისწინებით). მითითებულ შემთხვევებში პროფესიულ სტუდენტს შეუწარმუნდება განათლების მომსახურების ხელშეკრულებაში დადგენილი სწავლის საფასური პროგრამის შეცვლით გამოწვეული დამატებითი გადასახადების გარეშე.

- პროფესიულ სტუდენტს შეუძლია გარე მობილობის საფუძველზე სწავლა გააგრძელოს ანალოგიური პროგრამის განმახორციელებელ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც ბნსუ-ს გაფორმებული აქვს მემორანდუმში/ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.
  - ანალოგიური პროგრამის ან/და მობილობის შესახებ ხელშეკრულების/მემორანდუმის არარსებობის შემთხვევაში, ბნსუ იღებს ვალდებულებას შიდა რესურსების გამოყენებით, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე დაასრულებინოს პროფესიულ სტუდენტს სწავლა.
3. თუ პროფესიულმა სტუდენტმა უარი თქვა ბნსუ-ში სწავლის გაგრძელებაზე და ზემოთ მითითებული სწავლის გაგრძელების ვადის გასვლის შემდეგ არ ისარგებლა მობილობის უფლებით, მას შეუჩერდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
  4. ბნსუ-ში სწავლის გაგრძელების შემთხვევაში ბნსუ ადგენს გაუქმებული/შეცვლილი და პროფესიული სტუდენტის მიერ არჩეული პროგრამების თანხვედრას პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული კრედიტების აღიარების მიზნით მე-15 მუხლით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

#### **მუხლი 17 არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება**

1. არაფორმალური განათლება გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამებისაგან დამოუკიდებლად სწავლას, დაგეგმილი სასწავლო აქტივობებით, ასევე თვითსწავლას, რა დროსაც პირი ცოდნას და უნარებს იძენს მუშაობის პროცესში ან ცხოვრების განმავლობაში.
2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
3. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება დასაშვებია პროფესიული განათლების მე-3 საფეხურის ჩათვლით პროფესიული პროგრამების ფარგლებში ყველა პროფესიისათვის, გარდა რეგულირებადი პროფესიებისა.
4. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დროს ხდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისათვის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმება.
5. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებას ახდენს შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებაში არსებული კომისია.
6. ბნსუ, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ამტკიცებს განცხადების განხილვის პროცედურას, ადგენს განცხადების წარდგენის ვადას; განსაზღვრავს კომისიის საქმიანობისა და სათანადო დოკუმენტით დადასტურებული, პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების შესაბამისი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ კომპეტენციებად ჩათვლის წესს; გამოცდის ჩატარების თავისებურებებს.
7. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველმა უნდა წარადგინოს:
  - პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში – მისი კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს და უნდა შეიცავდეს ინფორმაციას არაფორმალური გზით მიღებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესახებ;
  - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;



- არსებობის შემთხვევაში, პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პროფესიით პრაქტიკული მუშაობის ვადის, განხორციელებული საქმიანობის ან/და არსებული კომპეტენციების შესახებ (ცნობა, სერტიფიკატი და ა.შ.);
  - მითითებული დოკუმენტების გარდა, დაწესებულებას უფლება აქვს, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველს მოსთხოვოს სხვა დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესამოწმებლად.
8. არაფორმალური განათლების აღიარების წინაპირობაა პირის კომპეტენციების შესაბამისობა პროფესიული სტანდარტით პროფესიული განათლების კონკრეტული საფეხურისთვის გათვალისწინებულ კომპეტენციებთან, რაც ხდება პირის მიერ წარმოდგენილი საბუთების შესწავლისა და შესაბამისი გამოცდის საფუძველზე;
9. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებას ახდენს შესაბამისი საფეხურის პროფესიული პროგრამისთვის შექმნილი არაფორმალური განათლების აღიარების კომისია (თუ ბნსუ-ში ხორციელდება ამ საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა). კომისიის წევრებს იწვევს პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭო. კომისიის შემადგენლობაში შედიან:
- დამსაქმებელთა წარმომადგენელი;
  - საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი;
  - შესაბამისი დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელთა წარმომადგენლები (არ უნდა წარმოდგენდნენ დაწესებულების თანამშრომლებს);
  - ადმინისტრაციის წარმომადგენელი.
10. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მიზნით ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული კომისია იქმნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით.
11. განცხადების განხილვის პროცედურის ეტაპებია: ამ წესის მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმება; არსებობის შემთხვევაში, პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ჩათვლა; გამოცდის ორგანიზება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.
12. განცხადების და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება გამოცდის ჩატარების შესახებ, რომელშიც აღინიშნება ის ცოდნა, უნარები და ღირებულებები, რომელთა ფლობაც დადასტურდა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, და კომპეტენციები, რომლებიც უნდა შემოწმდეს გამოცდით. წარდგენილი დოკუმენტაციისა და გამოცდის შედეგების გათვალისწინებით, მიიღება გადაწყვეტილება არაფორმალური განათლების აღიარების ან აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.
13. არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მოიცავს:
- დაწესებულების დასახელებას;
  - განმცხადებლის ვინაობას;
  - გადაწყვეტილების მიღების თარიღსა და ადგილს;
  - არაფორმალური განათლების აღიარების შემთხვევაში – მითითებას იმის თაობაზე, პროფესიული განათლების რომელ საფეხურს ან მის ნაწილს შეესაბამება განმცხადებლის კომპეტენციები, ხოლო არაფორმალური განათლების აღიარებაზე უარის თქმის შემთხვევაში – მითითებას შესაბამისი კომპეტენციების არარსებობის შესახებ, და შესაბამისი დასაბუთებას;
  - ცალკეული კომპონენტების შეფასებებს;
  - გადაწყვეტილების გასაჩივრების წესსა და ვადას.
14. ცალკეული კომპონენტები უნდა შეფასდეს პროფესიული განათლების კრედიტებით გაანგარიშების წესით გათვალისწინებული შეფასების სისტემით.
15. განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 01 თვეს; გადაწყვეტილებას ხელს აწერს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

### მუხლი 18. კვალიფიკაციის მინიჭება და პროფესიული დიპლომი

1. პროფესიულ სტუდენტს ენიჭება პროფესიული კვალიფიკაცია მის მიერ შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგენილი კომპეტენციების ათვისების შემთხვევაში, რაც დასტურდება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტში დადებითი შეფასების მიღებით ან/და კრედიტების აღიარებით/ცნობით.
2. მოდულური პროგრამის შემთხვევაში, კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.
3. პროფესიული სტუდენტისთვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს ბნსუ-ს პრეროგატივას.
4. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებას ახორციელებს საკვალიფიკაციო კომისია.
5. საკვალიფიკაციო კომისია იხილავს იმ სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხს, რომელთაც სრულად აითვისეს ან უღიარდათ შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.
6. საკვალიფიკაციო კომისია იხილავს სტუდენტის პირად საქმეს, მის მიერ მიღებულ შეფასებებს, რის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ან კვალიფიკაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.
7. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელ სახელმწიფო დოკუმენტს წარმოადგენს პროფესიული დიპლომი, რომლის გაცემაზე უფლებამოსილია ბნსუ, თუ მან მოახდინა პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება.
8. ბნსუ-ს მიერ გაცემული პროფესიული დიპლომის ნიმუში მზადდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობების და პროცედურების დაცვით.
9. პროფესიული დიპლომის დუბლიკატი გაიცემა იმ პირზე, რომლის პროფესიული დიპლომი აღარ არსებობს ან გახდა გამოსაყენებლად უვარგისი.
10. დუბლიკატის გაცემაზე უფლებამოსილია ბნსუ, თუ მან მოახდინა პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება.
11. დუბლიკატის შედგენისას ივსება დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროფესიული დიპლომის ფორმა, რომელსაც დაესმება შტამპი აღნიშვნით „დუბლიკატი“.
12. ბნსუ ვალდებულია, პროფესიული დიპლომის დამტკიცებული ფორმა გამოაქვეყნოს საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე.
13. ბნსუ ვალდებულია პროფესიული დიპლომის დამტკიცებული ფორმის ერთი ეგზემპლარი წარადგინოს ცენტრში.
14. ბნსუ ვალდებულია, პროფესიული დიპლომის/დუბლიკატის შევსებიდან 10 დღის ვადაში რეესტრში ატვირთოს დიპლომის/დუბლიკატის ელექტრონული ასლი და ასახოს შემდეგი მონაცემები: პროფესიული დიპლომის/დუბლიკატისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მინიჭებული რეგისტრაციის ნომერი, სერია, ინდივიდუალური ნომერი. ბნსუ ვალდებულია, აგრეთვე, აღნიშნულ ინფორმაციაში ცვლილების შეტანისას რეესტრში ასახოს შესაბამისი ცვლილება.

### მუხლი 19. პროფესიული სტუდენტის შეფასება

1. შეფასების მიზანია განსაზღვროს პროფესიული სტუდენტის მიღწევების დონე და მათი შესაბამისობა დაგეგმილ შედეგებთან.
2. პროფესიული სტუდენტის შეფასების ძირითადი პრინციპებია:
  - ვალიდურობა - შეფასება უნდა იყოს მიზნის შესატყვისი;
  - საჯაროობა – შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია უნდა იყოს თანაბრად ხელმისაწვდომი ყველასთვის;
  - გამჭვირვალობა – ინფორმაცია შეფასების სისტემის, შეფასების ფორმების, კომპონენტების, მეთოდებისა და კრიტერიუმების და შეფასების პერიოდულობის შესახებ უნდა იყოს სრული და ამომწურავი;
  - მიუკერძოებლობა და სამართლიანობა – ყველა პროფესიული სტუდენტის შეფასება უნდა მოხდეს ერთიანი წესით;
  - თანასწორობის პრინციპი – ყველა პროფესიული სტუდენტი უნდა იმყოფებოდეს თანაბარ პირობებში. თითოეულს უნდა მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა კომპეტენციების გამოსავლენად.

### მუხლი 20. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტებით გაანგარიშების წესი

1. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა გამოისახება კრედიტით.
2. ბნსუ-ში საგნობრივი პროგრამების შემთხვევაში 1 კრედიტი 26 ასტრონომიულ საათს უდრის, ხოლო მოდულური პროგრამების შემთხვევაში - 25 ასტრონომიული საათის ტოლია.
3. კრედიტი გამოხატავს ცალკეული სასწავლო კურსით/მოდულით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ასათვისებლად პროფესიული სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას (დატვირთვას).
4. კრედიტების განაწილება ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებს/მოდულებს შორის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 40%.
5. კრედიტების განაწილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებს შორის იძლევა სასწავლო კურსით/მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის შესაძლებლობას.

### მუხლი 21. პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში

1. კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში მოიცავს ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში – პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას.
2. პროფესიული სტუდენტის მიერ კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
3. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 –60%;

ორი სახის უარყოფით შეფასება:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
  - სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.
  - პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, პრაქტიკა) შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთა ჯამი წარმოადგენს პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებას.
  - ბნსუ-ში მოქმედ 100-ქულიანი შეფასების სისტემაში შემუშალედიური შეფასებების ხვედრითი წილია max 60 ქულა, დასკვნითი შეფასების - max 40 ქულა.
  - დასკვნით გამოცდაზე/დაცვაზე გასვლის უფლება ეძლევა პროფესიულ სტუდენტს, რომელსაც მიღებული შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შეიძლება დაუგროვდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების შესაბამისი ქულა (min 51 ქულა). ასევე, პროფესიულ სტუდენტს დასკვნითი და დამატებითი გამოცდის/დაცვის მომენტისთვის უნდა ჰქონდეს აქტიური სტატუსი. ბნსუ-ში, საბოლოო შეფასების მიზნებისათვის, დადგენილია იმ პროფესიული სტუდენტების დასკვნით გამოცდაზე/დაცვაზე გასვლის ვალდებულებას (გამონაკლისი - საპატიო მიზეზით გამოცდაზე გასვლის შეუძლებლობა), რომლებსაც შუალედური შეფასებებით მიღებული აქვთ კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების შესაბამისი ქულები (min 51 ქულა).
  - (FX) შეფასება ფიქსირდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის/დაცვის შეფასების დაჯამებით 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში, კერძოდ: ა) შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების დაჯამებით 50-41 ქულის მიღების შემთხვევაში; ბ) დასკვნით გამოცდაზე/დაცვაზე 0 ქულის მიღების შემთხვევაში, თუ მიღებული შუალედური შეფასებებისა და 0 ქულის დაჯამებით მიიღება 50-41 ქულა. (FX) შეფასების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე/დაცვაზე გასვლის უფლება. შუალედი დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას/დაცვას შორის უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.
  - (F) შეფასება (0 ქულა) ფიქსირდება შემდეგ შემთხვევაში: ა) დასკვნით გამოცდაზე/დაცვაზე არ დაშვება; ბ) შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების დაჯამებით 41-ზე ნაკლები ქულის მიღება; გ) დასკვნით გამოცდაზე/დაცვაზე 0 ქულის მიღება, თუ შუალედური შეფასებებისა და 0 ქულის დაჯამებით მიიღება 41-ზე ნაკლები ქულა; დ) დამატებითი გამოცდაზე/დაცვაზე 0 ქულის მიღება; ე) შუალედური შეფასებებისა და დამატებითი გამოცდის/დაცვის შეფასების დაჯამებით მინიმალურ დადებით შეფასებაზე (51 ქულაზე) ნაკლები ქულის მიღება. შეფასება (F) მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი, ხოლო პრაქტიკა - ახლიდან აქვს გასავლელი.
  - შეფასების შედეგი გამოცხადდება გამოცდის ჩატარების დღიდან არაუმეტეს 05 კალენდარულ დღეში, დაცვის ჩატარების დღიდან არაუმეტეს 02 კალენდარულ დღეში, დამატებითი გამოცდის/დაცვის შედეგი გამოცხადდება დამატებითი გამოცდის/დაცვის ჩატარებიდან არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა.
  - კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შედეგად, რაც გამოიხატება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
  - პროგრამის კომპონენტით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა (შეფასების კომპონენტები, კრიტერიუმები და სხვ.) მითითებულია შესაბამის სილაბუსებში.

**მუხლი 22. პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება მოდულური პროგრამების ფარგლებში**

1. მოდულური პროგრამების ფარგლებში შეფასება წარმოადგენს სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დამადასტურებელი მტკიცებულებების შექმნის და შეგროვების პროცესს და წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე მათ შეფასებას.
2. მოდულური პროგრამების ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულებით.
3. მოდულური პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიღწევები შესაძლებელია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებით განხორციელდეს.
4. განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვ. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
5. განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს პროფესიული სტუდენტის მიღწევის დონეს მოდულური პროგრამით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. განმსაზღვრელი შეფასების შედეგების გათვალისწინება ხდება სწავლის შედეგის/მოდულის შეფასებაში. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
  - სწავლის შედეგი დადასტურდა;
  - სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
6. მოდულური პროგრამის გავლის დასადასტურებლად დადებითად უნდა შეფასდეს პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული და მოდულის შესაბამისი ყველა სწავლის შედეგი;
7. სწავლის შედეგის დადებითად დადასტურების შემთხვევაში სტუდენტს არ მოეთხოვება ამავე სწავლის შედეგის ხელახალი დადასტურება;
8. შესაძლოა რამდენიმე სწავლის შედეგის ერთად შეფასება;
9. შეფასება შეიძლება განხორციელდეს როგორც ბნსუ-ს ფარგლებში - სასწავლო აუდიტორიაში, კომპიუტერულ კლასში, სახელოსნოებში, ასევე პრაქტიკის ობიექტებზე.
10. მოდული პროგრამის ფარგლებში შეფასება შემდეგ ეტაპებს მოიცავს:
  - სწავლის შედეგების გაცნობა;
  - შეფასების დაგეგმვა;
  - შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა;
  - შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება;
  - შეფასების ინსტრუმენტების შემოწმება
  - სტუდენტის შეფასება;
  - მტკიცებულების შემუშავება, შეგროვება, განხილვა;
  - მტკიცებულების განხილვა კრიტერიუმებთან მიმართებით და შეფასების გადაწყვეტილებების მიღება;
  - სტუდენტის შეფასების შესახებ გადაწყვეტილებების გაფორმება.
11. სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს, კანონით განსაზღვრული წესით, ეძლევა აღნიშნული სწავლის შედეგის დადასტურების უფლება.
12. სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს შეუძლია გაიაროს განმეორებითი შეფასება მოდულის მიმდინარეობისას ან/ და დასრულების შემდეგ მოდულების წინაპირობების გათვალისწინებით.
13. განმეორებითი შეფასების პირობები ასევე შესაძლებელია წარმოადგენილი იყოს თითოეული

შეფასებისთვის შესაბამის შეფასების ინსტრუმენტებში.

14. ბნსუ-ში მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ინსტრუმენტების შიდა ვერიფიკაციის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობას, სანდოობას, პრაქტიკულობას.
15. შიდა ვერიფიკაციის შედეგად პროფესიული მასწავლებლები იღებენ თანამდევრულ და ზუსტი შეფასების გადაწყვეტილებებს განსაზღვრული შესრულების კრიტერიუმის შესაბამისად.
16. შიდა ვერიფიკაციის პროცესს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
17. შიდა ვერიფიკაციას ახორციელებს შესაბამისი ცონდისა და კვალიფიკაციის მქონე პირი - შიდა ვერიფიკატორი, რომელიც შემდეგ ფუნქციებს ასრულებს:
  - რეგულარულად ესწრება შეფასების პროცესს, რათა უზრუნველყოს შეფასების კარგი პრაქტიკა;
  - ადასტურებს შეფასების გეგმების და მასალების სანდოობას და ვალიდურობას
  - არჩევს შეფასებების ნიმუშებს, რათა შეამოწმოს შეფასების თანამდევრულობა და სამართლიანობა;
  - ადასტურებს შემფასებლების მიერ მიღებულ შეფასების გადაწყვეტილებებს;
  - უზრუნველყოფს, რომ შეფასების და შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) ჩანაწერები იყოს სრული და ზუსტი;
  - ეხმარება პროფესიულ მასწავლებლებს, აძლევს უკუკავშირს, მითითებებს და რჩევებს;
  - ეხმარება პროფესიულ მასწავლებლებს ტრენინგის საჭიროებების იდენტიფიცირებაში;
  - თანამშრომლობს გარე შემოწმებლებთან (ვერიფიკატორთან) და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრთან შეფასების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.
18. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება მატერიალური სახით - მტკიცებულებებით, რომელთა სახეობები განისაზღვრება შესაბამისი მოდულური პროგრამებით.
19. სწავლის შედეგის მიღწევის დამადასტურებელი მტკიცებულება უნდა იყოს :
  - ვალიდური - ზუსტად შეესაბამებოდეს შეფასების მიმართულებას;
  - ტრანსფერული - ადასტურებდეს, რომ სტუდენტს შეუძლია ამოცანები შეასრულოს დადგენილი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად, არა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან შეფასების პროცესში, არამედ სამუშაო ადგილზეც;
  - ავთენტური - შესაფასებელი სტუდენტის მიერ შექმნილი;
  - საკმარისი - აჩვენებდეს, რომ სტუდენტს შეუძლია, შეასრულოს ნებისმიერი საქმიანობა სწავლის შედეგებისა და შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად;
  - მოდულის სპეციფიკაციით დადგენილ მოთხოვნებთან ხარისხის დონის შესაბამისი.
20. მტკიცებულებათა შეგროვება და პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება მიმდინარეობს მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში ან/და სწავლის დასრულებისას.
21. მოდულური პროგრამის ფარგლებში შექმნილ მტკიცებულებათა სპეციალურად გამოყოფილ ადგილას შენახვას და მათ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს ადმინისტრაცია.
22. მოდულური პროგრამის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები დაცულია და ინახება პროფესიული სტუდენტის მიერ კვალიფიკაციის მოპოვებამდე, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ ინახება მუდმივად.

**მუხლი 23. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური სასწავლო განრიგი/გეგმა**

1. ბსნუ-ში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმისა და დადგენილი განრიგით (მეცადინეობების, გამოცდების, კონსულტაციების ცხრილებით), ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური სასწავლო განრიგი/გეგმა.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობით, საჭიროების შემთხვევაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების სწავლის პროცესი მასზე მორგებულად იმართება კონკრეტული სასწავლო კურსის /მოდულის ფარგლებში.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება პროფესიული მოდულის/პროგრამის საფუძველზე და წარმოადგენს მის დაზუსტებას კონკრეტული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის.
4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება დგება მობილობის შემთხვევაში, სტატუს ადგენილი სტუდენტისთვის და სხვა შემთხვევებში, რომლებიც აღწერილია შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის მომწესრიგებელი დებულება, შინაგანაწესი ნდ №2-010102, მუხლი 17. საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია. სასწავლო განრიგი მე-4 პუნქტი „ინდივიდუალური განრიგით სარგებლობის უფლება“.
5. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიეკუთვნებიან პირები, ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით. აღნიშნულმა გარემოებებმა, შესაძლოა ხელი შეუშალოს ამ პირის სრულ და ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სხვებთან თანაბარ პირობებში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება შშმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.
6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის უზრუნველყოფის მიზნით პროფესიულ სტუდენტს შეუძლია მიმართოს პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსს/და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს;
7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება შშმ და სსსმ პირების საჭიროებების გათვალისწინებით, დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროფესიული მასწავლებლების და ინკლუზიური განათლების სპეციალისტების. პროფესიული სტუდენტს შეუძლია მონაწილეობის მიღება ინდივიდუალური განრიგის შემუშავების პროცესში.
8. შემუშავებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ამტკიცებს ბსნუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.
9. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე.
10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები შშმ და სსსმ პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მიენიჭებათ ამ დებულების მე-18 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.
11. მეზღვაურის პროფესიაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლება დაუშვებელია. სწავლება შესაძლებელია, მხოლოდ სპეციალური სამედიცინო შემოწმებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის დადასტურების შემთხვევაში. (სამედიცინო შემოწმების აუცილებლობა გამოწვეულია საზღვაო ფლოტის გემებზე მუშაობის სპეციფიკურობით და გათვალისწინებულია, როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ნორმატიული დოკუმენტებით (International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarers, 1978, Manila Amendments (Consolidated Text) Regulation I/9; section B-I/9; Table B-I/9-1; Table B-I/9-2; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების

სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 26 თებერვლის ბრძანება №01 „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების“ დამტკიცების შესახებ).

#### მუხლი 24. საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესი

1. საწარმოო პრაქტიკა წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის განუყოფელ კომპონენტს და ხორციელდება ბნსუ-ს მიერ დადგენილი წესით დამტკიცებული საწარმოო პრაქტიკის სილაბუსის/მოდულის მიხედვით.
2. საწარმოო პრაქტიკის მიზნია პროფესიულ სტუდენტებში საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული კომპეტენციების კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენების პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, ასევე სამუშაო გარემოში პროფესიულ სტუდენტების ადაპტაცია, საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბების, ახალი კომპეტენციების გამომუშავების, მომავალი კარიერის მიზნების დასახვის ხელშეწყობა.
3. საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, რომელიც არის შესაბამისი პროფილის ნებისმიერი იურიდიული პირი, მათ შორის ბნსუ-სთან არსებული საწარმო ან მისი სტრუქტურული ერთეული, სადაც შესაძლებელია სილაბუსით/მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა.
4. საწარმოო პრაქტიკის განხორციელება შემდეგ ღონისძიებებს მოიცავს:
  - პრაქტიკის ობიექტების მოძიება, მოტივაცია, დათანხმება, წინასწარი შეთანხმება;
  - მხარეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრა;
  - მემორანდუმის ან/და ხელშეკრულების გაფორმება;
  - ბნსუ-ს მხრიდან პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა;
  - განხორციელების კონკრეტული ვადების დადგენა;
  - პროფესიული სტუდენტების გაგზავნა პრაქტიკის ობიექტზე;
  - საწარმოო პრაქტიკის განხორციელება;
  - ბნსუ-ს მხრიდან საწარმოო პრაქტიკის მსვლელობის მონიტორინგი;
  - პროფესიულ სტუდენტთა შეფასება;
  - საწარმოო პრაქტიკის განხორციელების ანალიზი, გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა
5. საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში ბნსუ-სა და შესაბამისი პროფილის პრაქტიკის ობიექტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ან/და ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა არის მინიმუმ პროგრამის ხანგრძლივობა.
6. ბნსუ-ს მიერ საწარმოო პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს სრულ ინფორმაციას კონკრეტული პროგრამის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკის გავლის შესახებ (პროგრამის დასახელება; პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა; მხარეთა უფლება-მოვალეობები; ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მხარეთა რეკვიზიტები, ხელმოწერები და სხვა).
7. ბნსუ-ს და შესაბამისი პროფილის პრაქტიკის ობიექტს შორის გაფორმებული მემორანდუმი ან/და ხელშეკრულება გადაეცემა ორივე მხარეს.
8. საწარმოო პრაქტიკის მოცულობა (პრაქტიკის ხანგრძლივობა, კვირაში პრაქტიკის ობიექტზე ვიზიტების რაოდენობა, დღეში საათობრივი დატვირთვა) განისაზღვრება შესაბამისი საწარმოო პრაქტიკის სილაბუსით/მოდულით/პრაქტიკის განრიგით.
9. საწარმოო პრაქტიკის წარმართვის მიზნით ბნსუ გამოყოფს პრაქტიკის ხელმძღვანელს, ხოლო საწარმოო პრაქტიკის ობიექტი, თავის მხრივ გამოყოფს ხელმძღვანელს/ინსტრუქტორს(ებს), რომლებიც პასუხისმგებელი არიან საწარმოო პრაქტიკის განხორციელებაზე;
10. საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობის პერიოდში პროფესიულ სტუდენტზე ვრცელდება საქართველოს შრომის კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები.
11. საწარმოო პრაქტიკის განხორციელებასთან მიმართებაში ბნსუ ვალდებულია:



- დადგენილი წესის შესაბამისად შეიმუშაოს და დაამტკიცოს საწარმოო პრაქტიკის პროგრამა/სილაბუსი/მოდული;
  - უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა გაგზავნა „პრაქტიკის ობიექტზე სპეციალობის მიხედვით და მათი სურვილის გათვალისწინებით“;
  - პრაქტიკის დაწყებამდე უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტები „პრაქტიკის დღიურებით“;
  - დროულად მიაწოდოს პრაქტიკის ობიექტს პროფესიულ სტუდენტთა სიები, პრაქტიკის სილაბუსი/მოდული ან/და საწარმოო პრაქტიკაზე გასავლელი საკითხების ჩამონათვალი, პრაქტიკის გავლის თარიღები და სხვა მასალა, რაც აუცილებელია პროფესიული სტუდენტების მიერ საწარმოო პრაქტიკის გასავლელად
  - დაეხმაროს პრაქტიკის ობიექტს ნებისმიერი საკითხის გარკვევაში, რაც დაკავშირებულია საწარმოო პრაქტიკის სრულფასოვან განხორციელებასთან;
12. საწარმოო პრაქტიკის განხორციელებასთან მიმართებაში ბნსუ უფლებამოსილია:
- განხორციელოს საწარმოო პრაქტიკის მსვლელობის მონიტორინგი;
  - პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლების მონაწილეობით განხორციელოს პროფესიულ სტუდენტთა შეფასება;
  - მოსთხოვოს პრაქტიკის ობიექტს საწარმოო პრაქტიკის მაღალ დონეზე წარმართვა.
13. საწარმოო პრაქტიკის განხორციელებასთან მიმართებაში პრაქტიკის ობიექტი ვალდებულია:
- თავის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით უზრუნველყოს ბნსუ-სთან დადებული მემორანდუმით/ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა;
  - გამოყოს საწარმოო პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/ები.
  - გაეცნოს ბნსუ-ს მიერ გადმოცემულ საწარმოო პრაქტიკის განხორციელებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას;
  - გააცნოს პროფესიულ სტუდენტებს თავის ტერიტორიაზე მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული უსაფრთხოების და ქცევის ზოგადი წესები;
  - უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოების დაცვა პრაქტიკის ობიექტის ტერიტორიაზე მათი ყოფნის პერიოდში;
  - აწარმოოს პროფესიული სტუდენტების დასწრების აღრიცხვა;
  - წესების დაცვით დაადასტუროს პროფესიულ სტუდენტთა მიერ „საწარმოო პრაქტიკის დღიურის“ ჩანაწერები და აწარმოოს მათი აღრიცხვიანობა.
14. საწარმოო პრაქტიკის განხორციელებასთან მიმართებაში პრაქტიკის ობიექტი უფლებამოსილია:
- მოსთხოვოს ბნსუ-ს დროულად მიაწოდოს ინფორმაცია და შესაბამისი მასალა პროფესიული სტუდენტების მიერ საწარმოო პრაქტიკის გასავლელად;
  - ბნსუ-ს წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებაში;
  - მიაწოდოს ბნსუ-ს ინფორმაცია საწარმოო პრაქტიკის განხორციელებასთან დაკავშირებულ პრობლემების და გაუთვალისწინებელი სიტუაციების შესახებ;
  - საჭიროების შემთხვევაში, წარმოადგინოს საწარმოო პრაქტიკის გაუმჯობესების შესახებ მოსაზრებები და რეკომენდაციები.
15. საწარმოო პრაქტიკის გავლასთან მიმართებაში პროფესიული სტუდენტი ვალდებულია
- დაიცვას პრაქტიკის ობიექტზე დადგენილი უსაფრთხოების წესები და შინაგანაწესი;
  - შეასრულოს პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ მიცემული დავალებები პასუხისმგებლობით, ზუსტად და დროულად;
  - დაიცვას იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა საწარმოო პრაქტიკის გავლის დროს;
  - საწარმოო პრაქტიკის დასრულების შემდეგ ბნსუ-ში წარადგინოს საწარმოო პრაქტიკის საბოლოო ანგარიში და დახასიათება, რომელიც ხელმოწერილი და გაცემულია პრაქტიკის ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ.
16. საწარმოო პრაქტიკის გავლასთან მიმართებაში პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია :
- მოითხოვოს საწარმოო პრაქტიკის მაღალ დონეზე წარმართვა;

- მიაწოდოს ბნსუ-ს ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც დაკავშირებული იქნება საწარამო პრაქტიკის სრულფასოვან განხორციელებასთან.

17. საგნობრივი პროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული „საზღვაო პრაქტიკა“ ხორციელდება ამ მუხლში დადგენილი წესების შესაბამისად.

### მუხლი 25. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა

1. თითოეული პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განპირობებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკით, პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსით, განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობითა და მათი კვალიფიკაციით.
2. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისა ხდება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:
  - A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
  - B სასწავლო გარემოში (კომპიუტერულ კლასში) პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
  - C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
  - პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის ობიექტზე ყოფნის პერიოდი;
  - საზღვაო მიმართულების პროფესიული პროგრამების საზღვაო/საწარმო პრაქტიკის ხანგრძლივობა, რომელიც მოდულური პროგრამის ფარგლებში 6 თვეს შეადგენს;
  - ორ ცვალში სწავლების შესაძლებლობა;
  - კომბინირებული გარემოს არსებობის შესაძლებლობა, მაგალითად A და B გარემო ან A და C ერთ სივრცეში;
  - გამოიყენება თუ არა ეს გარემო მხოლოდ პროფესიული სწავლებისთვის;
  - სტუდენტთა ჯგუფების რაოდენობა (ერთი ან რამდენიმე პროგრამის ფარგლებში), რომელიც სარგებლობს აღნიშნული სასწავლო გარემოთი;
  - პროგრამის სასწავლო გეგმის თავისებურებანი;
  - პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელების შესაძლებლობა
  - თითოეულ პროგრამისთვის პროგრამის განმახორციელებელისა და პროფესიული სტუდენტების შეფარდების მაჩვენებელი (20 პროფესიულ სტუდენტზე მინიმუმ ერთი პროგრამის განმახორციელებელი პირი)
3. თითოეული გარემოსთვის გამოთვლის აღნიშნული გარემოს გამტარიანობის მაჩვენებელი ანუ ერთი ან რამდენიმე პროფესიული პროგრამის სტუდენტთა ზღვრული/მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც ისწავლის ამ გარემოში ერთი წლის მანძილზე.
4. ერთ ცვლაში სწავლის პირობებში და მაქსიმალური დატვირთვის გათვალისწინებით (40 საათი კვირაში), ერთი სასწავლო აუდიტორია/კომპიუტერული კლასი/ლაბორატორია/სახელოსნო იძვევა კვირაში მინიმუმ 1.6 კრედიტის ათვისების საშუალებას იმ პროფესიული სტუდენტების რაოდენობისთვის, რამდენზეც არის გათვლილი აღნიშნული გარემო, ხოლო ორ ცვლაში სწავლების პირობებში მოცემული ციფრი ორმაგდება - 3.2 კრედიტი.
5. A სასწავლო გარემოსთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოთვლისას დაწესებულია ითვალისწინებს პროფესიული პროგრამების და მათ შორის საზღვაო სფეროს პროფესიული პროგრამების, სწავლების სპეციფიკას, რაც გულისხმობს, რომ სასწავლო პროგრამების არანაკლებ 40% (მოდულური პროგრამების შემთხვევაში 50%-ზე მეტიც). ეთმობა პრაქტიკულ კომპონენტს, რომელიც A სასწავლო გარემოში არ ხორციელდება, შესაბამისად A სასწავლო გარემოს გამტარიანობა (ანუ სტუდენტთა რაოდენობა , რომელიც შეიძლება მიიღოს ამ გარემომ), იზრდება 2-ჯერ, ხოლო ორ ცვლაში სწავლის შემთხვევაში 4-ჯერ.
6. B სასწავლო გარემოს გამტარიანობის გამოთვლისას, უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ სტუდენტის მიერ 1 წელში ასათვისებელი 60 კრედიტიდან, B სასწავლო გარემოზე 3 კრედიტი მოდის. შესაბამისად, B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 5%-ით, რაც გულისხმობს, ერთ ცვლაში სწავლის შემთხვევაში B სასწავლო გარემოს გამტარიანობა 20-ჯერ მეტია, ხოლო 2 ცვლაში სწავლებისას- 40-ჯერ მეტი.

7. C სასწავლო გარემოს გამტარიანობის გამოთვლისას, უნდა იყოს გათვალისწინებული სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, იმ კრედიტების/საათების რაოდენობა, რომელიც პროფესიულმა სტუდენტმა უნდა აითვისოს ამ გარემოში ერთ ან რამდენიმე პროგრამის ფარგლებში.
8. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს A, B და C გარემოსთვის განსაზღვრულ რაოდენობებს შორის უმცირესს.
9. ბნსუ იღებს გადაწყვეტილებას თითოეული პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის შესახებ და ასახავს შესაბამის განცხადებაში.

**მუხლი 26. სასწავლო მიზნებისთვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შენახვა, განკარგვა, გამოყენება და ნარჩენების უტილიზაცია**

1. კონკრეტული მოდულის განხორციელებისათვის საჭირო მასალებისა და ნედლეულის უზრუნველყოფის მიზნით, პროფესიული განათლების დეპარტამენტი მიმართავს ბნსუ-ს კანცლერს მოთხოვნით შესაბამისი მოდულის დაწყებამდე 10 სამუშაო დღით ადრე.
2. მოდულის განხორციელებისათვის საჭირო მასალებისა და ნედლეულის ჩამონათვალს ადგენს შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით.
3. მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება შესაბამისად გამოყოფილ ადგილას, შენახვის წესების დაცვით.
4. პროგრამის/შესაბამისი კომპონენტის დასრულებისას ხორციელდება გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება და საჭიროების შემთხვევაში, გაუხარჯავი მასალებისა და ნედლეულის დაბრუნება ადმინისტრაციისათვის.
5. სასწავლო პროცესის ფარგლებში, სწავლის შედეგების დადასტუდების მიზნით პროფესიული სტუდენტები ქმნიან სახავადასხვა სახის პროდუქტს, რომელიც წარმოადგენს შეფასების მტკიცებულებას და უნდა ინახებოდეს ამ მუხლით დადგენილი წესით.
6. დოკუმენტაციის სახით არსებული პროდუქტი (სტუდენტის მიერ შევსებული ტესტები, წერიტი ნაშრომი, ნახაზები, ნახატები, პროექტები, მასწავლებლის დაკვირვების ფორმები და სხვა), ინახება პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე, რის შემდეგაც ნადგურდება დადგენილი წესით ან გადაეცემა ბიბლიოთეკას საგანმანათლებლო მიზნებისათვის ან პროფესიულ სტუდენტს.
7. პროფესიული სტუდენტის მიერ შექმნილი პროდუქტი, რომელიც წარმოადგენილია ელექტრონული სახით უნდა ჩაიწეროს ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე და ინახება შექმნიდან არანაკლებ 5 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება დადგენილი წესით ან გადაეცემა ბიბლიოთეკას საგანმანათლებლო მიზნებისათვის.
8. პროფესიული სტუდენტის მიერ შექმნილი პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს მატერიალური სახის შემოქმედებით ნაშრომს (ნახატი, მაკეტი და სხვა) ინახება შექმნიდან არანაკლებ 5 წლის განმავლობაში, შესაძლოა შენახვის პერიოდში გამოყენებულ იქნას საგანმანათლებლო მიზნებისათვის, რის შემდეგაც შესაძლოა მისი რეალიზაცია, გადაეცემა სხვა პირისათვის საქველმოქმედო მიზნებისათვის ან ნადგურდება დადგენილი წესით ან რჩება დაწესებულებას საგანმანათლებლო მიზნებისათვის.
9. პროფესიული სტუდენტის მიერ შექმნილი პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს მალფუჭებად საქონელს, უნდა დაფიქსირდეს ფოტო ან ვიდეო გამოსახულების სახით, რაც ინახება არანაკლებ 5 წლის განმავლობაში, შესაძლოა პროდუქტის რეალიზაცია ან სხვა პირისათვის გადაეცემა საქველმოქმედო მიზნებისათვის, ან ნადგურდება დადგენილი წესით ან სხვაგვარად განკარგვა ბნსუ-ს ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით.
10. ბნსუ-ში პროფესიული პროგრამების განხორციელების მიზნით გარკვეული ტექნოლოგიური პროცესის დროს წარმოშობილი ნარჩენების მართვა უნდა მიმდინარეობდეს საქართველოში ნარჩენების მართვის პოლიტიკასა და ნარჩენების მართვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11. იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობით არ არის დადგენილი გარკვეული ტიპის ნარჩენების მართვის წესები, მათი უტილიზაცია ხდება იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს და გარშემო მყოფ პირებს.
12. ნარჩენების მართვა და უტილიზაცია წარმოადგენს სასწავლო პროცესის ნაწილს, ამიტომ ამ პროცესში ჩართული უნდა იყვნენ პროფესიული სტუდენტები.
13. ნარჩენების შეგროვებაზე და უტილიზაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამისი მოდულის განმახორციელებელს.
14. უტილიზაციის პროცედურის შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს პროფესიული განათლების დეპარტამენტს.

### **მუხლი 27. დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე;
2. წინამდებარე დებულების ძალაში შესვლისთანავე უქმდება წინამდებარე დებულების ძალაში შესვლამდე მოქმედი დებულებები/ წესები, რომლებიც არეგულირებდნენ წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ საკითხებს;
3. ბნსუ-ს პროფესიული სტუდენტები, პროგრამის პერსონალი და სხვა პირები, რომლებიც მონაწილეობენ პროგრამების შემუშავებაში, პროგრამის განხორციელებაში და სასწავლო პროცესის უზრუნველყოფაში, ვალდებული არიან გაეცნონ წინამდებარე დებულებას და შეასრულონ მისი მოთხოვნები, ადმინისტრაცია ვალდებულია ნებისმიერ დროს მისცეს მათ დებულების გაცნობის შესაძლებლობა;
4. წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ინიციატორი შეიძლება იყოს რექტორი, პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭო, ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფისა და იურიდიული სამსახურები;
5. წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით;
6. წინამდებარე დებულების მუხლებს წინამდებარე მუხლის აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად;
7. წინამდებარე დებულების რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად/ბათილად ცნობა არ ვრცელდება დებულების სხვა მუხლებზე/დებულებებზე;
8. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით;
9. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.